



Register your
new device on
MyBosch now and
get free benefits:
[bosch-home.com/
welcome](https://bosch-home.com/welcome)



ინდუქციური ქურა

PXX9..K...

[ka] მომხმარებლის სახელმძღვანელო

დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ ციფრული მომხმარებლის სახელმძღვანელო.



სარჩევი

1	უსაფრთხოება	2
2	საკუთრების ზიანის თავიდან აცილება.....	5
3	გარემოს დაცვა და ეკონომია	6
4	შესაბამისი ჭურჭელი.....	6
5	გაცნობა.....	8
6	პირველ გამოყენებამდე	10
7	მართვის საფუძვლები.....	10
8	FlexInduction.....	12
9	MoveMode	13
10	ტაიმერი	14
11	PowerBoost	15
12	PanBoost	15
13	თბილად შენახვის ფუნქცია.....	15
14	წარამეტრების დადასტურება	16
15	Assist.....	16
16	უსადენო კონფორი.....	20
17	მომზადებაში დახმარების ფუნქცია	22
18	დაცვა უსაფრთხოების ბლოკირება	23
19	დაცვა წმენდისას.....	23
20	ინდივიდუალური ავარიული გამორთვა	23
21	ძირითადი პარამეტრები	23
22	ჭურჭლის შემოწმება	24
23	Home Connect	25
24	გამწოვის მართვა, რომელიც კონფორზეა განთავსებული	27
25	წმენდა და მოვლა.....	28
26	ხარვეზების აღმოფხვრა	29
27	განკარგვა.....	31
28	შესაბამისობის დეკრალაცია	31
29	კლიენტთა მომსახურების სამსახური	32
30	შემოწმებული კერძები	32

1 უსაფრთხოება

დაიცავით უსაფრთხოების ტექნიკის მითითებები.

1.1 ზოგადი მითითებები

- წაიკითხეთ ინსტრუქცია საფუძვლიანად.
- შეინახეთ ინსტრუქცია, ტექსპასპორტი და პროდუქტის სხვა ინფორმაციები შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მეპატრონისათვის.
- ტრანსპორტირებისას მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში, ნუ ჩართავთ მას.

1.2 დანიშნულებისამებრივი გამოყენება

მხოლოდ კვალიფიცირებულ ხელოსანს შეუძლია ელქტრო მოწყობილობის შტეკერის გარეშე შეერთება. არასწორი ჩართვის გამო დაზიანების შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულებები კარგავს ძალას.

მომხმარებლის უსაფრთხოება გარანტირებულია მხოლოდ დამოტაყების ინსტრუქციის დაცვით კვალიფიცირებული აწყობისას. მონტაჟის სისწორისათვის პასუხისმგებელია მემონტაჟე.

მოწყობილობა გამოიყენეთ მხოლოდ:

- საკვების და სასმელების მოსამზადებლად.
- მეთვალყურეობის ქვეშ. აუცილებელია ყოველთვის აკონტროლოთ საკვების მომზადების ხანმოკლე პროცესი.
- კერძო საკუთრებაში მოსახმარებლად სახლის პირობებსა და დახურულ სივრცეებში.
- ზღვის დონიდან არა უმეტეს 4000 მ სიმაღლეზე.

არ გამოიყენოთ მოწყობილობა:

- გარე ტაიმერით ან დისტანციური მართვის ცალკეული პულტით. ეს არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ არ არის გათვალისწინებული ექსპლუატაცია მოწყობილობებით, რომლებიც ხვდება EN 50615 სტანდარტის არეალში.

თუ თქვენ იყენებთ მომზადების სენსორის ფუნქციას, ქურაზე, რომელზეც მოთავსებულია ქვაბი დააყენეთ ტემპერატურის სენსორი. თუ თქვენ ატარებთ აქტიურ იმპლანტირებულ სამედიცინო მოწყობილობას (მაგალითად, კარდიოსტიმულატორს ან დეფიბრილიატორს), დარწმუნდით თქვენს ექიმთან, რომ ის შეესაბამება ევროპული საზოგადოებების საბჭოს 1990 წლის 20 ივნისის 90/385/EWG დირექტივას, და აგრეთვე EN 45502-2-1 და EN 45502-2-2, და ის შერჩეულია, იმპლანტირებული და დაპროგრამებულია, თუ არა VDE-AR-E 2750-10-ის თანახმად. თუ ეს პირობები დაცულია და გამოიყენება არამეტალის სამზარეულოს აქსესუარები და სამზარეულოს ჭურჭელი არამეტალის სახელოებით, მაშინ მოცემული ინდუქციური ქურა პანელის გამოყენება დანიშნულების მიხედვით შესაძლებელია.

1.3 გამოყენების სპექტრის შეზღუდვა

ამ მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია 8 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ფიზიკურად, სენსორულად ან გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის ან გამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირთათვის, მეთვალყურეობის შემთხვევაში და/ან მოწყობილობის უსაფრთხო მოხმარების შესწავლის შემდეგ, თუ მათთვის გასაგებია არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები. ბავშვების თამაში მოწყობილობასთან დაუშვებელია.

გაწმენდითი სამუშაოები, ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასაკი არის 15 წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ. მთარიდეთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები მოწყობილობას და მის გაყვანილობებს.

1.4 უსაფრთხო მოხმარება

⚠ გაფრთხილება – ხანძრის საშიშროება! კერძების მომზადება პანელზე ცხიმის ან ზეთის დამატებით ზედამხედველობის გარეშე, შესაძლოა იყოს საშიშვანო და გამოიწვიოს ხანძარი.

- ▶ არ დატოვოთ ზედამხედველობის გარეშე ზეთი ან ცხიმი.
- ▶ არ ეცადოთ ცეცხლის წარმოქმნა წყლით, გამორთეთ მოწყობილობა, და შემდეგ ჩააქრეთ ცეცხლი, მაგალითად ხუფის ან ცეცხლმაქრი გადასაფარებლის დაფარვით.

გაზქურის პანელი ძალიან ცხელდება.

- ▶ არ დადგათ მარტივად აალებადი საგნები ზედა პანელზე ან მისგან უშუალო სიახლოვეში.
- ▶ არ დადგათ საგნები ზედა პანელზე. მოწყობილობა ცხელდება.
- ▶ არასოდეს შეინახოთ ქუროს ქვეშ უჯრაში აალებადი ნივთები ან აეროზოლის ბალონი.

კონფორის თავსახურებს შუძლიათ გამოიწვიონ უბედური შემთხვევები, მაგ. გადახურებით, აალებით ან გასკდომადი მასალებით.

- ▶ არ გამოიყენოთ კონფორის თავსახური. ქურა ყოველი გამოყენების შემდეგ მთავარი ჩამრთველით გამორთეთ.
- ▶ არ დაიცადოთ იქამდე, სანამ ქურა ავტომატურად გამოირთვება თუ მასზე არანაირი ქვაბები და ტაფები არ დგას. საკვები პროდუქტები შეიძლება ააღდნენ.
- ▶ აუცილებელია მომზადების პროცესის გაკონტროლება. თუ მომზადების პროცესი არ არის ხანგრძლივი, საჭიროა მუდმივი კონტროლი.

⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!

გამოყენებისას, მოწყობილობა და მისი ხელმისაწვდომი დეტალები, განსაკუთრებით, ზედა პანელის ჩარჩო (არსებობის შემთხვევაში).

- ▶ ფრთხილად იყავით, არ შეეხოთ ცხელ ელემენტებს.
- ▶ 8 წლამდე ბავშვებს ეკრძალებათ მოწყობილობის გამოყენება.

ზედა პანელის დამცავი გისოსები შესაძლოა გახდეს უბედური შემთხვევის მიზეზი.

- ▶ ზედა პანელისთვის არ გამოიყენოთ დამცავი გისოსები.

ექსპლუატაციისას, მოწყობილობა ცხელდება.

- ▶ გაწმენდამდე, დაელოდეთ მოწყობილობის გაგრილებას. მეტალის საგნები ქურაზე ძალიან მალე ცხელდებიან.
- ▶ არასოდეს დადოთ ქურაზე მეტალის ნივთები, როგორცაა ჩანგალი, კოვზი და თავსახური.

⚠ გაფრთხილება – ელექტრული შოკის საშიშროება!

არაკვალიფიცირებული შეკეთებისას მოწყობილობა შესაძლოა გახდეს საფრთხის წყარო.

- ▶ მოწყობილობის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ კვალიფიცირებული სპეციალისტისთვის.
- ▶ მოწყობილობის შეკეთებისთვის შეიძლება მხოლოდ ორიგინალური ნაწილების გამოყენება.
- ▶ თუკი თქვენს დანადგარს დაუზიანდა ქსელში შემაერთებული ან თქვენი დანადგარის სხვა დანადგარებთან დამაკავშირებელი კაბელი, აუცილებელია მისი ქსელთან შემაერთებული ან სხვა დანადგარებთან დამაკავშირებელი სპეციალური კაბელებით შეცვლა, რომელთა შეძენაც შესაძლებელია მწარმოებელთან ან კლიენტთა მომსახურების სამსახურში.

საფრთხის შემცველია დაზიანებული მოწყობილობა ან დაზიანებული ქსელის კაბელი.

- ▶ არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- ▶ თუ მოწყობილობის ზედაპირი გაიბზარა, გამორთეთ მოწყობილობა, რათა თავიდან აიცილოთ ელექტრული დენით დაზიანება. ამისათვის, გამორთეთ მოწყობილობა მცველით, მცველთა ბლოკში და არა მთავარი ჩამრთველით.
- ▶ აკრძალულია ქსელის კაბელის მოჭაჩვა, მოწყობილობის ელექტროქსელიდან გამოსართავად. გამოსწიეთ შტეფსელიდან ქსელის კაბელის ჩანგალი.
- ▶ მოწყობილობის ან ქსელის კაბელის დაზიანების შემთხვევაში გამორთეთ მცველი, მცველთა ბლოკში.
- ▶ დაუკავშირდით კლიენტთა მომსახურებას. → გვერდი 32

სინოტივის შეჭრას, ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია.

- ▶ დანადგარის საწმენდად არ გამოიყენოთ ორთქლით მწმენდავი ან მაღალი წნევით საწმენდი საშუალებები.

მოწყობილობის ცხელ ნაწილებთან, ელექტრო მოწყობილობების კაბელის იზოლაციები შესაძლოა დადნეს.

- ▶ თვალი ადევენეთ რათა, კაბელები არ ეხებოდეს ელექტრომოწყობილობის ცხელ ნაწილებს.

კონფორების ველის ქვედა მხარეს განთავსებულ ვენტილატორის კონტაქტმა ლითონის ელემენტებთან შესაძლოა გამოიწვიოს ელექტროშოკი.

- ▶ არ შეინახოთ გრძელი ბასრი ლითონის საგნები ქურის კონფორების ველის ქვეშ უჯრებში.

⚠ გაფრთხილება – დაზიანების მიღების საშიშროება!

ქვების ძირსა და კონფორს შორის სითხის არსებობის შემთხვევაში ქვაბები შეიძლება ჰაერში ახტეს.

- ▶ ყოველთვის მშრალად შეინახეთ ქვების ძირები.
- ▶ არასოდეს არ გამოიყენოთ გაყინული ჭურჭელი.

უსადენო ტემპერატურის სენსორი ელემენტით არის აღჭურვილი, რომელის მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისას შესაძლოა დაზიანდეს.

- ▶ აიღეთ სენსორი ჭურჭლიდან და შეინახეთ ის სითბოს წყაროსაგან მოშორებით.

ტემპერატურის სენსორის მოხსნისას ჭურჭლიდან ის შესაძლოა ძალიან ცხელი იყოს.

- ▶ ამოღებისას, გამოიყენეთ სამზარეულოს ხელთათმანი ან ჩაის ტილო. ორთქლზე მომზადებისას ქურა და ჭურჭელი რომელშიც ვამზადებთ შეიძლება გადახურებისაგან გასკდეს.

- ▶ ჭურჭელი რომელშიც ვამზადებთ არ უნდა შეეხოს იმ ქვებს რომელშიც ასხია წყალი.
- ▶ გამოიყენეთ მხოლოდ ცეცხლგამძლე ჭურჭელი.

მოწყობილობა გაბზარული ან გატეხილი ზედაპირით შესაძლოა გახდეს დაზიანების მიზეზი.

- ▶ არ გამოიყენოთ მოწყობილობა, თუ მისი ზედაპირი გაბზარული ან გატეხილია.

⚠ გაფრთხილება – საფრთხე: მაგნიტიზმი!

- უკაბელო ტემპერატურის სენსორი მაგნიტურია და შეუძლია იმოქმედოს ელექტრონულ იმპლანტებზე, მაგალითად, კარდიოსტიმულატორზე ან ინსულინის ინჟექტორზე.
- ▶ ელექტრონიკის იმპლანტებით პირებისთვის არ არის რეკომენდირებული მოწყობილობასთან 10 სმ.-ზე მიახლოება.
 - ▶ არ ატაროთ ხსნადი მაგნიტური გადამრთველები ჯიბეებში.

⚠ გაფრთხილება – გაგუდვის საშიშროება!

- ბავშვებმა შესაძლოა შესაფუთი მასალა თავზე ჩამოიცივან და შიგნით გაეხვიონ, რაც დაზიანების საფრთხეს ქმნის.
- ▶ შესაფუთი მასალა ბავშვებს მოარიდეთ.
 - ▶ არ მისცეთ ბავშვებს უფლება ითამაშონ შესაფუთი მასალებით.
- ბავშვებს შეუძლიათ პატარა ნაწილები შეისუნთქონ ან გადაყლაპონ და ამით დაიზიანონ.
- ▶ მოარიდეთ ბავშვებს პატარა ნაწილები.
 - ▶ არ მისცეთ ბავშვებს უფლება პატარა ნაწილებით ითამაშონ.

2 საკუთრების ზიანის თავიდან აცილება

აქ მოყვანილია მეტად გავრცელებული დაზიანებების მიზეზები და რჩევები, მათი თავიდან აცილებისთვის.

დაზიანებები	მიზეზი	ღონისძიება
ლაქები	მომზადების დროს უყურადღებობა.	თვალყური ადევნეთ მომზადების პროცესს.
ლაქები, ნახეთქები	დაღვრილი პროდუქტი, განსაკუთრებით შაქრის მაღალი შემცველობით.	მაშინვე მოაშორეთ შუშის ზედაპირების სპეციალური საფხეკით.
ლაქები, ნახეთქები და ბზარები შუშის ზედაპირზე	ჭურჭელი დაზიანებებით, გამდნარი მინანქრით, სპილენძის ან ალუმინის ძირით.	გამოიყენეთ შესაბამისი ჭურჭელი კარგ მდგომარეობაში.
ლაქები, ფერის ცვლილება	არასათანადო გაწმენდა.	გამოიყენეთ მხოლოდ მინაკერამიკისთვის ვარგისი საწმენდი საშუალება და გაწმინდეთ მხოლოდ გაგრილებული კონფორი.
ნახეთქები და ბზარები შუშის ზედაპირზე	ჭურჭლის, სამზარეულო აქსესუარების ან სხვა მყარი ან ბასრი საგნების დარტყმა ან ვარდნა.	მომზადების დროს არ დაუშვათ შუშის ზედაპირზე დარტყმა ან საგნების ვარდნა კონფორზე.
ნაკაწრები, ფერის ცვლილება	ჭურჭლის არასწორი ძირი ან კონფორზე ჭურჭლის გადაადგილება.	შეამოწმეთ ჭურჭელი. ჭურჭლის გადატანისას ასწიეთ ის.
ნაკაწრები	მარილი, შაქარი ან ქვიშა.	არ გამოიყენოთ კონფორების პანელი სამუშაო ან სასაწყობე ზედაპირად.
მოწყობილობის დაზიანება	საყინულედან გამოღებულ ჭურჭელში მომზადება.	არასოდეს არ გამოიყენოთ გაყინული ჭურჭელი.
ჭურჭლის ან მოწყობილობის დაზიანება	შიგთავსის გარეშე ჭურჭლის გაცხელება.	არასოდეს არ განათავსოთ და არ გააცხელოთ გათბობის ცხელ ზონაზე ცარიელი ჭურჭელი.
შუშის ზედაპირის დაზიანება	შუშის ზედაპირზე განთავსებული, გათბობის ცხელ ზონაზე დამდნარი ნაწარმი ან ჭურჭლის თავსახური.	არ განათავსოთ კონფორზე საცხობი ქალაღი ან კილიტა, პლასტმასის კონტეინერი ან თავსახური.
გადახურება	ცხელი ჭურჭელი მართვის პანელზე ან მოწყობილობის ჩარჩოზე.	ცხელი ჭურჭელი არასოდეს არ განათავსოთ ზედაპირის ამ მონაკვეთზე.

ყურადღება!

ეს ქურა ქვედა მხრიდან აღჭურვილია ვენტილატორით.

- ▶ თუ კონფორის ქვეშ გამოსაწევი უჯრა მდებარეობს, მასში ნუ შეინახავთ პატარა ან წვეტიან ნივთებს, ქაღალდებს ან ჩაის ტილოებს. ისინი შესაძლოა ვენტილატორმა შეისრუტოს და ამ გზით განაპირობოს კონფორის გაგრძელების ეფექტურობის დაწევა ან ვენტილატორის დაზიანება.
- ▶ უჯრასა და ვენტილატორის შესასვლელს შორის მინიმუმ 2 სმ-იანი დისტანცია დაიცავით.

3 გარემოს დაცვა და ეკონომია

3.1 შეფუთვის გადაგდება

შესაფუთი მატერიალი ეკოლოგიურად უსაფრთხოა და შესაძლებელია განმეორებითი გამოყენება.

- ▶ თითოეული შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებლად განკარგეთ შესაბამისი ტიპის მიხედვით.

3.2 ენერჯის დაზოგვა

ამ მითითებების დაცვისშემთხვევაში თქვენი მოწყობილობა ნაკლებ ენერჯიას გამოიყენებს.

თითოეული გაცხელების ზონისთვის შეარჩიეთ შესაბამისი ზომის ჭურჭელი. ჭურჭელი განათავსეთ ცენტრში.

გამოიყენეთ ჭურჭელი რომლის ძირი შეესაბამება კონფორის დიამეტრს.

რჩევა: ჭურჭლის მწარმოებლები ხშირად მიუთითებენ ზედა დიამეტრს. როგორც წესი, ის ძირის დიამეტრზე მეტია.

- შეუსაბამო ჭურჭლის გამო ან სრულად დაუკავებელი კონფორის გამო ინარჯება მეტი ელექტროენერჯია.

დააფარეთ ქვაბებს შესაბამისი თავსახურები.

- უთავსახუროდ მომზადება გაცილებით მეტ ენერჯიას მოიხმარს.

ასწიეთ თავსახური რაც შეიძლება ნაკლებჯერ.

- როდესაც თქვენ ხდით თავსახურს, ენერჯიის მოხმარება იზრდება.

გამოიყენეთ შუშის თავსახურები.

- შუშის თავსახურში შეგიძლიათ დაინახოთ ქვაბის შიგთავსი, თავსახურის აუზნელად.

გამოიყენეთ ბრტყელი ძირის მქონე ქვაბები და ტაფები.

- არათანაბარი ძირი ენერჯიის მოხმარებას ზრდის.

გამოიყენეთ საკვების მოცულობის შესაბამისი ქვაბი.

- დიდი ქვაბის გაცხელებისთვის საკვების ცოტა ოდენობით უფრო მეტი ენერჯიაა საჭირო.

მოამზადეთ მცირე რაოდენობის წყლით.

- რაც უფრო მეტია ჭურჭელში წყალი, მით უფრო მეტი დროა საჭირო გასაცხელებლად.

წინასწარ გადართეთ კონფორი უფრო მცირე გაცხელების დონეზე.

- ძალიან მაღალი მომზადების საფეხურით დახარჯავთ ენერჯიას.

ინფორმაცია ნაწარმის შესახებ (ეკ) 66/2014 რეგლამენტის შესაბამისად შეგიძლიათ იხილოთ მოწყობილობის პასპორტში და თქვენი მოწყობილობის აღწერის ინტერნეტ გვერდზე.

4 შესაბამისი ჭურჭელი




ინდუქციური კონფორისთვის ვარგის ჭურჭელს უნდა ჰქონდეს ფერომაგნიტური ძირი, ანუ უნდა მაგნიტს იზიდავდეს. გარდა ამისა, ძირი უნდა შეესაბამებოდეს გათბობის ზონის ზომას. თუ გათბობის ზონა არ ცნობს მასზე განთავსებულ ჭურჭელს, განათავსეთ ის უფრო მცირე ზომის გათბობის ზონაზე.

4.1 სამზარეულო ჭურჭლის ზომები და თვისებები

იმისათვის, რომ ჭურჭელი სწორად იქნას ამოცნობილი, საჭიროა ზომის და მასალის გათვალისწინება, რისგანაც დამზადებულია. ჭურჭლის ძირი უნდა იყოს იდეალურად სწორი და თანაბარი.

შეამოწმეთ ჭურჭლის შემოწმება დახმარებით, ჭურჭელი გამოდგება თუ არა. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ

→ "ჭურჭლის შემოწმება", გვერდი 24.

სამზარეულო ჭურჭელი	მასალა	მანასიათებლები
რეკომენდირებული ჭურჭელი	უჟანგავი ლითონის ჭურჭელი "სენდვიჩის" ტიპის ძირით, რომელიც კარგად ანაწილებს სითბოს.	ამგვარი ჭურჭელი თანაბრად ანაწილებს სითბოს, სწრაფად თბება და კარგად ამოიცნობა.
	ფერომაგნიტური ჭურჭელი მომინანქრებული რკინით ან ჩუგუნით ან სპეციალური ჭურჭელი ინდუქციური გათბობისთვის უჟანგავი ლითონისგან.	მსგავსი ჭურჭელი სწრაფად ცხელდება და კარგად ამოიცნობა.
რეკომენდირებულია	ძირი არ არის მთლიანად ფერომაგნიტური.	თუ ფერომაგნიტური ფართობი ნაკლებია, ვიდრე ჭურჭლის ძირი, ცხელდება მხოლოდ ფერომაგნიტური ფართობი. ამგვარად, სითბო არათანაბრად ნაწილდება მთელს სივრცეზე.
 	ჭურჭლის ძირი ალუმინის მონაკვეთებით.	ასეთი ძირი ამცირებს ფერომაგნიტურ ზედაპირს, რის გამოც მცირდება ჭურჭელზე გადასაცემი სიმძლავრე. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი ჭურჭელი ამოიცნობა არასწორედ ან საერთოდ არ ამოიცნობა და ამიტომ ცხელდება არასაკმარისად.
არ არის რეკომენდირებული	ჩვეულებრივი თხელი რკინის, შუშის, სპილენძის ან ალუმინის ჭურჭელი.	


შენიშვნები

- არ გამოიყენოთ გადამყვანი ფირფიტები კონფორს და ჭურჭელს შორის.
- არ გააცხელოთ ცარიელი ჭურჭელი და არ გამოიყენოთ ჭურჭელი თხელი ძირით, ვინაიდან შესაძლოა ძალიან გააცხელდეს.

5 გაცნობა

5.1 საკონტროლო პანელი

ცალკეული დეტალები შესაძლოა განსხვავდებოდეს გამოსახულებისგან.



შენიშვნები

- მართვის ველი შეინარჩუნეთ სუფთად და მშრალად.
- ნუ განათავსებთ ჭურჭელს ინდიკატორებთან და ლილაკებთან ახლოს. ელექტროობა შესაძლოა გადახურდეს.

სენსორული ლილაკები

კონფორის ჩართვისას აინთება ლილაკების სიმბოლოები, რომლებიც მოცემულ მომენტში ხელმისაწვდომია.

ლილაკი	ფუნქცია
①	მთავარი ჩამრთველი
☞	დაცვა წმენდისას დაცვა უსაფრთხოების ბლოკირება
☞	ძირითადი პარამეტრები
ⓘ	საინფორმაციო მენიუ
⌚	Count-up timer
⌚	ტაიმერი
☞/☞	FlexInduction
0...Boost	დაყენების დიაპაზონი <ul style="list-style-type: none"> ⌚ გამომრთველი ტაიმერი ☞ სიმძლავრის დონეები 1...9 ☞ თბილად შენახვის ფუნქცია ☞ PowerBoost ☞ PanBoost
menu	მომზადების რეჟიმების მენიუ <ul style="list-style-type: none"> ☞ სიმძლავრის დონეები ☞ MoveMode ☞ PerfectFry Sensor ☞ PerfectCook Sensor ☞ მომზადებაში დახმარების ფუნქცია


ლილაკი	ფუნქცია
☞	ჩართვის შესაძლებლობა
☞	გამწოვის მართვა, რომელიც კონფორზეა განთავსებული
auto ☞	ვენტილატორის მართვის სენსორი
☞	გამწოვის განათება

5.2 სენსორული ეკრანი

სენსორული ეკრანის მეშვეობით მარტივად და ინტუიციურიდან შეგიძლიათ მართოთ მოწყობილობა.

მთავარი ფანჯარა

მთავარ ფანჯარაში გამოისახება გათბობის ყველა ზონის მიმოხილვა, რომლითაც აღჭურვილია კონფორი. აქტიური ზონის მონაკვეთში გამოისახება მომზადების რეჟიმები, სიმძლავრის დონეები და დროის ფუნქციები.




ლილაკები, რომლებიც ხელმისაწვდომია Home Connect კავშირის დამყარებისას

როგორც კი კავშირი Home Connect დამყარებულია, ხელმისაწვდომი ხდება შემდეგი ლილაკები:


დაყენების დიაპაზონი

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ დააყენოთ სიმძლავრის დონე, მომზადების დრო და მომზადების სხვადასხვა რეჟიმები არჩეული გათბობის ზონისთვის.




სტატუსის ველი

გამოსახული ინფორმაცია დამოკიდებულია მიღებულ პარამეტრებზე: ტაიმერი, სამზარეულო ტაიმერი



სტატუსის ველის გამოსახვა

1. შეეხეთ ეკრანის ზედა მონაკვეთს და თითოეულ ზევით და ქვევით გაუსვით.



- ✓ გამოისახება სტატუსის ველი.
- 2. სტატუსის ველის დასამალად, მოქაჩეთ ქვევით.

საინფორმაციო მენიუ

შეგიძლიათ მოწყობილობის და მისი ფუნქციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

გახსენით საინფორმაციო მენიუ

1. ო შეეხეთ.
 2. დააჭირეთ და გეჭიროთ რამდენიმე წამით საჭირო ფუნქციის სიმბოლო.
- ✓ ეკრანზე გამოჩნდება ინფორმაციული ფანჯარა მიმდინარე ფუნქციის აღწერით.
 - 3. მთავარ ფანჯარაში დასაბრუნებლად შეეხეთ **^**.

მომზადების რეჟიმების მენიუ


ჭურატიისთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა მომზადების რეჟიმები.

მათთან წვდომის მისაღებად, შეეხეთ menu არჩეული გათბობის ზონის პარამეტრებს.

სიმბოლო	მომზადების რეჟიმი	ფუნქცია
	სიმძლავრის დონეები	გათბობის დონის არჩევა გათბობის ზონისთვის.
	MoveMode	სიმძლავრის დონის დაყენება ჭურჭლის გათბობის ზონებზე დაგაადგილებით.
	PerfectFry Sensor	შეწვა შესაბამის ტემპერატურაზე.
	PerfectCook Sensor	ხარშვა ტემპერატურის ავტომატური ამოცნობის აქტიური ფუნქციით ხარშვის უკაბელო სენსორით. ხელმისაწვდომია მხოლოდ უკაბელო მომზადების სენსორთან დაკავშირებისას.
	მომზადებაში დახმარების ფუნქცია	შეწვა და ხარშვა კერძის წინასწარ არჩევით.

5.3 მომზადების ზონების განაწილება

მითითებული სიმძლავრე გაზომილია სტანდარტული ჭურჭლით, რომელიც აღწერილია IEC/EN 60335-2-6. სიმძლავრე შესაძლოა განსხვავდებოდეს ზომებზე და მასალაზე დამოკიდებულად.



არე	ყველაზე მაღალი მომზადების დონე	
A	სიმძლავრის დონე 9	2 200 ვტ 3 700 ვტ
	PowerBoost	

არე	ყველაზე მაღალი მომზადების დონე	
A	სიმძლავრის დონე 9	3 300 ვტ 3 700 ვტ
	PowerBoost	
B	სიმძლავრის დონე 9	2 600 ვტ 3 700 ვტ
	PowerBoost	

5.4 მომზადების ზონა

მომზადების დაწყების წინ დარწმუნდით, რომ ჭურჭლის ზომა შეესაბამება გათბობის ზონას, რომელზეც უნდა მოამზადოთ:

სფერო	გათბობის ზონის ტიპი
☐	გათბობის ერთკონტურული ზონა
☐☐	Flex-Zone → "FlexInduction", გვერდი 12
☐☐☐	მარტივი შუა გათბობის ზონა

5.5 დარჩენილი სითბოს მაჩვენებელი

გათბობის ზონის ინდიკატორები ანთია წითლად, როდესაც გათბობის ზონები გამორთულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაგრილებულა. არ შეეხოთ გათბობის ზონას, სანამ ანთია გათბობის ზონის ინდიკატორი წითლად.

6 პირველ გამოყენებამდე

❗აიციავით შემდეგი რეკომენდაციები.

6.1 პირველი ექსპლუატაცია

მოწყობილობის პირველი ჩართვისას ეკრანზე პირველი ნაბიჯის სახით კონფორის პარამეტრებში გამოისახება ენის პარამეტრი. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეცვალოთ ეს პარამეტრი ძირითად პარამეტრებში. → გვერდი 23

6.2 Home Connect პარამეტრები

ჩართვის პარამეტრების გასაშვებად აირჩიეთ პარამეტრი Home Connect ძირითად პარამეტრებში და მიჰყევით მითითებებს თავში → "Home Connect", გვერდი 25.

6.3 ინდუქციით მომზადება

ინდუქციურ კონფორზე მომზადება განსხვავდება ჩვეულებრივ კონფორზე მომზადებისგან, აგრეთვე გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები მაგ.: მომზადების და შეწვის პროცესი უფრო ნაკლებ დროს იკავებს, ხარჯავს ნაკლებ ელექტროენერგიას, მოვლას და გაწმენდას სჭირდება ნაკლები დრო. ინდუქციურ პანელზე მომზადებისას უზრუნველყოფილია გათბობის უკეთესი კონტროლი, ვინაიდან სითბო წარმოიქმნება უშუალოდ ჭურჭელში.

7 მართვის საფუძვლები

7.1 კონფორების ველის ჩართვა

- ▶ ① შეეხეთ. ისმის გამაფრთხილებელი სიგნალი და აინთება სენსორული ველი.
- ✓ კონფორი მზადაა სამუშაოდ.

ReStart

- ▶ თუ მოწყობილობას ჩართავთ გამორთვიდან 10 წუთის განმავლობაში, მაშინ კონფორი მუშაობს უკვე დაყენებული პარამეტრებით. ეს ფუნქცია შეგიძლიათ ჩართოთ ძირითადი პარამეტრების მენიუში. → გვერდი 23

7.2 კონფორის გამორთვა

- ▶ შეეხეთ სიმბოლოს ①, სანამ ინდიკატორები არ ჩაქრება.
 - ✓ გაცხელების ყველა ზონა გამორთულია.
- შენიშვნა:** თუ გათბობის ყველა ზონა გამორთულია 30 წამზე მეტხანს, კონფორი გამოირთობა.

7.3 გაცხელების ზონებში სიმძლავრის დონის დაყენება

გაცხელების ზონას აქვს სიმძლავრის 17 დონე, რომლებიც 1-დან 9-მდე გამოისახება შუალედური მნიშვნელობით. აირჩიეთ მეტად მორგებული სიმძლავრის დონე კერძისთვის და მომზადების დაგეგმილი პროცესისთვის.

1. შეეხეთ საჭირო გაცხელების ზონა.
- ✓ ეკრანზე გამოჩნდება არჩეული გათბობის ზონის პარამეტრების ზონა.
2. შეასუღეთ სრიალა მოძრაობები თითოთ პარამეტრების ზონაში და დააჭირეთ საჭირო სიმძლავრის დონეს.
- ✓ სიმძლავრის დონე დაყენებულია.

7.4 მომზადების რჩევები

- პიურეს, კრემ-სუპეების ან სქელი სოუსების გაცხელებისას პერიოდულად მოურიეთ კერძი.
- წინასწარი გაცხელებისთვის გამოიყენეთ სიმძლავრის დონე 8-9.
- თავსახურით მომზადებისას, შეამცირეთ გათბობის დონე, როგორც კი ორთქლი თავსახურიდან ამოსვლას დაიწყებს. გამოსული ორთქლის რაოდენობა არ ახდენს გავლენას მომზადების შედეგზე.
- მომზადების დასრულების შემდეგ დააფარეთ ჭურჭელს თავსახური კერძის მაგიდაზე მიტანამდე.
- სწრაფმზარველში მომზადებისას დაიცავით მწარმოებლის მითითებები.
- საჭმლის კვებითი ღირებულების შესანარჩუნებლად, ნუ შეინახავთ მას ცხელ კონფორზე დიდი ხნის განმავლობაში. საყოფაცხოვრებო ტაიმერის გამოყენებით შესაძლოა მომზადების ოპტიმალური დროის დაყენება.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ კარაქი არ აბოლდეს.
- პროდუქტი რიგ-რიგობით შეწვით მცირე პორციებად.
- ზოგიერთი ჭურჭელი შესაძლოა გაცხელდეს მაღალ ტემპერატურამდე, ამიტომ გამოიყენეთ ქვაბის ჩვარი.
- ენერგოეფექტური მომზადების რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ აქ
→ "ენერჯის დაზოგვა", გვერდი 8

მომზადების რეკომენდაციები

ცხრილში მითითებულია, როგორი სიმძლავრის დონე (☰) არის ოპტიმალური გარკვეული კერძების მომზადებისთვის. მომზადების დრო (⌚ min) შესაძლოა კერძის ტიპის, წონის, სისქისა და ხარისხის შესაბამისად ვარიირებდეს.

3. მთავარ ფანჯარაში დაბრუნებისთვის ისევ შეეხეთ გათბობის აქტიურ ზონას.

შენიშვნა: თუ გათბობის ზონაზე არ არის დაყენებული ჭურჭელი ან ტაფა არ გამოდგება ამ კონფორზე გამოსაყენებლად, არჩეული სიმძლავრის დონე იწყებს ციმციმს. გათბობის ზონა გამოირთობა გარკვეული დროის შემდეგ.

გათბობის დონის ცვლილება და გათბობის ზონის გამორთვა

1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
 2. აირჩიეთ საჭირო სიმძლავრის დონე ან დააყენეთ 0 პარამეტრების ზონაში.
- ✓ გათბობის ზონის სიმძლავრის დონე იცვლება ან გათბობის ზონა გამოირთობა და გამოჩნდება ნარჩენი სითბოს ინდიკატორი.

სწრაფი არჩევა

- ▶ სიმძლავრის დონის დასაყენებლად 9.0, თითოთ გაუსვით გათბობის ზონას მარჯვნივ. სიმძლავრის დონის დასაყენებლად 0.0, თითოთ გაუსვით გათბობის ზონას მარცხნივ. ეს ფუნქცია შეგიძლიათ ჩართოთ ძირითადი პარამეტრების მენიუში. → გვერდი 23

	☰	⌚ min
დნობა		
მოკოლადი, კუვერტურა	1 - 1.5	-
კარაქი, თაფლი, ჟელატინი	1 - 2	-
გაცხელება და ცხლად შენახვა		
კასეროლი მაგ.ოსპის შეჭამანდი	1.5 - 2	-
რძე ¹	1.5 - 2.5	-
სოსისები ¹	3 - 4	-
ლღვობა და გათბობა		
ისპანახი გაყინული	3 - 4	15 - 25
გულიაჟი, გაყინული	3 - 4	35 - 55
ადუღებულ წყალში ხარშვა, დუღული		
კარტოფილის კლოსი ¹	4.5 - 5.5	20 - 30
თევზი ¹	4 - 5	10 - 15
ცთეთრი სოუსები, მაგ. ბეშამელსოუსი	1 - 2	3 - 6
ათქვეფილი სოსები, მაგ. ბერნასი, ჰოლანდიური სოუსი	3 - 4	8 - 12
ხარშვა, ორთქლზე მომზადება, ჩაშუშვა		
ბრინჯი (წყლის ორმაგი მოცულობით)	2.5 - 3.5	15 - 30
რძიანი ბრინჯი	2 - 3	30 - 40
მონარშული კარტოფილი	4.5 - 5.5	25 - 35
მარილიანი კარტოფილი	4.5 - 5.5	15 - 30
მაკარონი ¹	6 - 7	6 - 10
კასეროლი	3.5 - 4.5	120 - 180

¹ თავსახურის გარეშე

	—≡≡	⊖ min
წვნიანები	3.5 - 4.5	15 - 60
ბოსტნეული	2.5 - 3.5	10 - 20
ბოსტნეული, გაყინული	3.5 - 4.5	7 - 20
კასეროლი სწრაფი მომზადების ქვაბში	4.5 - 5.5	-
მოთუშვა		
რულეტი	4 - 5	50 - 65
მოთუშულად შემწვარი	4 - 5	60 - 100
გულიაში	3 - 4	50 - 60
მოთუშული / მცირე რაოდენობის ცხიმში შეწვა ¹		
შნიცელი, ბუნებრივი ან საფანელით	6 - 7	6 - 10
შნიცელი, გაყინული	6 - 7	6 - 12
კოტლეტები, ბუნებრივი ან საფანელით	6 - 7	8 - 12
სტეიკი (3 სმ სისქის)	7 - 8	8 - 12
ფრინველის მკერდი (2 სმ სისქის)	5 - 6	10 - 20
ფრინველის მკერდი, გაყინული	5 - 6	10 - 30
ფრიკადელები (3 სმ სისქის)	4.5 - 5.5	20 - 30
ჰამბურგერი (2 სმ სისქის)	6 - 7	10 - 20
თევზი და თევზის ფილე, ბუნებრივი	5 - 6	8 - 20
თევზი და თევზის ფილე, საფანელში	6 - 7	8 - 20
თევზი საფანელში და გაყინული, მაგ. თევზის ჩხირები	6 - 7	8 - 15

¹ თავსახურის გარეშე

	—≡≡	⊖ min
კრევეტები და კრაბები	7 - 8	4 - 10
ახალი ბოსტნეულისა და სოკოების ჩაშუშვა	7 - 8	10 - 20
ტაფამწვარები, ბოსტნეული, აზიური ტიპის თევზის ნაჭრები	7 - 8	15 - 20
გაყინული კერძები, მაგ. ტაფის კერძები	6 - 7	6 - 10
ბლინები (გამოაცხვეთ ერთმანეთის თანმიმდევრობით)	6.5 - 7.5	-
ომლეტი (ერთმანეთის მიყოლებით გამოცხობა)	3.5 - 4.5	3 - 10
ერბო კვერცხი	5 - 6	3 - 6
ფრიტიურში შეწვა, 150-200 გრ პორციაზე 1-2 ლ ზეთში, პორციადად შეწვით ¹		
გაყინული პროდუქტები, მაგ. კარტოფილი ფრი, ქათმის ნაგეთსი	8 - 9	-
კროკეტები, გაყინული	7 - 8	-
ხორცი, მაგ. ქათმის ნაწილები	6 - 7	-
თევზი, საფანელში ან ცხიმთან ცომში	6 - 7	-
ბოსტნეული, სოკოები, საფანელით ან საფუარის ცომში, ან ტემპურა	6 - 7	-
პატარა ორცხობილები, მაგ. ფუნთუშა/ბერლინერი, ხილი საფუარის ცომში	4 - 5	-

¹ თავსახურის გარეშე

8 FlexInduction

გაცხელების თავისუფალი ზონა Flex Zone საშუალებას გაძლევთ დადოთ ნებისმიერი ფორმის და ზომის ჭურჭელი სასურველ ადგილზე. ის შედგება ოთხი ინდუქტორისაგან, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ. თუ Flex Zone მოქმედებაშია, აქტიურდება მხოლოდ ის არე, რომელზეც განთავსებულია ჭურჭელი.


8.1 ჭურჭლის განთავსება


გაცხელების თავისუფალი ზონა უნდა დაარეგულიროთ ორი მეთოდით მასზედ დამოკიდებულად, თუ როგორ ჭურჭელს იყენებთ. ოპტიმალური ამოცნობისთვის და სითბოს განაწილებისთვის განთავსეთ ჭურჭელი ცენტრში, როგორც ნაჩვენებია გამოსახულებაზე.


გაცხელების გაერთიანებული ზონის სახით გამოყენება

რეკომენდირებულია მხოლოდ ჭურჭლის ერთი ერთეულით მომზადებისთვის.

- ჭურჭლის განთავსება ზომაზე დამოკიდებულად: ჭურჭლის განთავსება ზომაზე დამოკიდებულად:




- რეკომენდირებული გრძელი ჭურჭელი 




როგორც ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გათბობის ზონა

რეკომენდირებულია ჭურჭლის ორი ერთეულით მომზადებისთვის. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ წინა და უკანა გაცხელების ზონები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, აგრეთვე შეგიძლიათ მათგან თითოეულისთვის დააყენოთ სიმძლავრის დონე.




გათბობის საშუალო ზონა

გათბობის ზონა აღჭურვილია სამი ინდუქტორით, რომლებიც მუშაობენ ერთიანი გათბობის ზონის სახით. ჭურჭლის განთავსება





ყურადღება

არ დადოთ ჭურჭელი მარჯვენა და მარცხენა გაცხელების ზონებს შორის. გათბობის ზონები აქტიურდება არასწორედ, რაც უარყოფითად მოქმედებს მომზადების შედეგზე.



8.2 FlexInduction დაკავშირება


გათბობის თავისუფალი ზონა Flex Zone თავისით დაყენებულია როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი გათბობის ზონები. გაცხელების ზონის გასაერთიანებლად ჩართეთ შემდეგი ფუნქცია:

1. განათავსეთ ჭურჭელი გათბობის ზონაზე.
 2.  შეეხეთ.
- ✓  ანათებს. გათბობის თავისუფალი ზონა Flex გაერთიანებულია.

შენიშვნები

- შეგიძლიათ სტანდარტული პარამეტრის შეცვლა გათბობის Flex Zone ზონისთვის. როგორ მოიქცეთ ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ ნახოთ თავში ძირითადი პარამეტრები. → გვერდი 23
- თუ ასწევთ ან გადაადგილებთ ჭურჭელს გაერთიანებული აქტიური გაცხელების ზონიდან, ჩაერთობა ავტომატური ძებნა. ნებისმიერი ჭურჭელი, რომელიც გაცხელების ზონაში იქნა ამოცნობილი ძებნის დროს, ცხელდება წინასწარ დაყენებული სიმძლავრის დონემდე.

8.3 FlexInduction გათიშვა

- ▶  შეეხეთ.
- ✓ გაცხელების თავისუფალი ზონა დეაქტივირებულია. გაცხელების ორივე ზონა აგრძელებს მუშაობას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

9 MoveMode

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ შეცვალოთ სიმძლავრის დონე, რომელიც მიეწოდება ჭურჭელს, მხოლოდ მისი Flex Zone-ში გადაადგილებით. ზონა დაყოფილია სხვადასხვა სიმძლავრის სამ არედ.

9.1 ჭურჭლის განთავსება და გადაადგილება


გამოიყენეთ მხოლოდ ჭურჭლის ერთი ერთეული. მომზადების ზონის ფართობის დამოკიდებულია გამოყენებულ ჭურჭელზე, და აგრეთვე მის ზომაზე და განთავსებაზე. მომზადების თითოეულ ზონას აქვს წინასწარ დაყენებული სიმძლავრის დონე:

- წინა არე = სიმძლავრის დონე 9,0

- შუა არე = სიმძლავრის დონე 5,0
- უკანა არე = სიმძლავრის დონე 15,5

ka ტაიმერი

თქვენ შეგიძლიათ წინასწარ დაყენებული სიმძლავრის ზონის სტანდარტული პარამეტრის შეცვლა. როგორ მოიქცეთ ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ ნახოთ თავში ძირითადი პარამეტრები → გვერდი 23.



9.2 MoveMode გააქტიურება

მოთხოვნა: ერთ თავისუფალ გაცხელების ზონაზე Flex Zone დადგით ჭურჭლის მხოლოდ ერთი ერთეული.

1. აირჩიეთ გათბობის ორიდან ერთი ზონა, რომელიც ენება თავისუფალ გათბობის ზონას Flex Zone.
2. menu შეეხეთ.
3. ↵ არჩევა
✓ აინთება ↵ .
✓ ფუნქცია ჩართულია.

შენიშვნა: მონაკვეთის სიმძლავრის დონეები შეგიძლიათ შეცვალოთ მომზადების პროცესში.

9.3 MoveMode გამორთვა

1. აირჩიეთ გათბობის ზონა.
2. შეეხეთ menu და გადაერთეთ მომზადების სხვა რეჟიმზე.
- ✓ ფუნქცია გამორთულია.

10 ტაიმერი

თქვენს კონფორს გააჩნია მომზადების დროის სხვადასხვა ფუნქცია:

- გამომრთველი ტაიმერი
- ტაიმერი
- Count-up timer

10.1 გამომრთველი ტაიმერი

ამ ფუნქციის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ დააპროგრამოთ მომზადების დრო ერთ ან რამოდენიმე გათბობის ზონაში. დროს ამოწურვისას გათბობის ზონა ავტომატურად გამოირთობა.

გამომრთველი ტაიმერი ჩართვა

1. აირჩიეთ გათბობის ზონა და სიმძლავრის დონე.
2. შეეხეთ ⌚ პარამეტრების ზონაში.
3. დააყენეთ მომზადების დრო პარამეტრების ველში.
4. შეეხეთ ▷ დასადასტურებლად.
✓ მომზადების დროის ათვლა დაიწყება.
✓ მომზადების დროის ამოწურვის შემდეგ გაცხელების ზონა გამოირთობა და ისმის ხმოვანი სიგნალი.

შენიშვნები

- გათბობის ზონისთვის დროის დაპროგრამებისას და აქტივაციისას PerfectFry Sensor, დროის უკუათვლა იწყება მაშინვე, როგორც კი მიღწეული იქნება არჩეული ტემპერატურული რეჟიმი.
- თუ დაპროგრამებულია მომზადების დონე გათბობის ერთი ზონისთვის და აქტიურია ფუნქცია PerfectCook Sensor, მომზადების დროის ათვლა დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღწეული იქნება საჭირო ტემპერატურა.

გამომრთველი ტაიმერი შეცვლა ან გამორთვა

1. აირჩიეთ გათბობის ზონა და შეეხეთ ⌚ .

2. შეცვალეთ მომზადების დრო პარამეტრების ზონაში ან შეეხეთ ○ , რათა გაანულოთ დროის პარამეტრი.
3. შეეხეთ სიმბოლოს ▷ არჩეული პარამეტრის დასადასტურებლად.
4. მთავარ ფანჯარაში დაბრუნებისთვის დააჭირეთ ◀ და შემდეგ ▲ .

10.2 ტაიმერი

მოცემული ფუნქციის გამოყენებით, შეგიძლიათ გააქტიუროთ ტაიმერი. ეს ფუნქცია მუშაობს გათბობის ზონებზე და სხვა პარამეტრებზე დამოუკიდებლად. გათბობის ზონები არ გამოირთობა ავტომატურად.

ტაიმერი ჩართვა

1. ⌚ შეეხეთ.
2. საჭირო დრო აირჩიეთ პარამეტრების ზონაში.
3. შეეხეთ ▷ პარამეტრის დასადასტურებლად.
✓ დროის ათვლა დაიწყება.
✓ დაყენებული დროის ამოწურვისას გაისმის სიგნალი.
4. ⌚ შეეხეთ.
✓ მაჩვენებლები ჩაქვრება და სიგნალი შეწყდება.


ტაიმერი შეცვლა ან გამორთვა

1. ⌚ შეეხეთ.
2. შეცვალეთ დრო პარამეტრების ზონაში ან შეეხეთ ○ , რათა გაანულოთ დროის პარამეტრი.
3. შეეხეთ სიმბოლოს ▷ არჩეული პარამეტრის დასადასტურებლად.
4. მთავარ ფანჯარაში დასაბრუნებლად შეეხეთ ▲ .





10.3 Count-up timer

ტაიმერის ფუნქცია აჩვენებს დროს, რომელიც გავიდა აქტივაციის შემდეგ.

Count-up timer ჩართვა


- ▶  შეეხეთ.
- ✓ დროის ათვლა დაიწყება.

Count-up timer გამორთვა

1.  შეეხეთ.
2.  შეეხეთ. დროის ინდიკატორზე გამოისახება 00 წთ 00 წმ.
დროის ინდიკატორის თავიდან ჩასართავად, შეეხეთ .
3. მთავარ ფანჯარაში დასაბრუნებლად შეეხეთ .




11 PowerBoost

მოცემული ფუნქცია საშუალებას გაძლევთ გააცხელოთ დიდი ოდენობით წყალი უფრო სწრაფად, ვიდრე სიმძლავრის 9 დონეზე. აღნიშნული ფუნქცია ყველა მომზადების ზონისთვის ხელმისაწვდომია, თუ ჩართული არ არის ამ ჯგუფის სხვა მომზადების ზონა.



11.1 PowerBoost ჩართვა

1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.

2. Boost აირჩიეთ პარამეტრების ზონაში და გეჭიროთ თითოთ, სანამ არ აინთება  და .
 3. თითის აულებლად აირჩიეთ .
 4. აწიეთ თითი.
- ✓ ფუნქცია ჩართულია.

შენიშვნა: მოცემული ფუნქცია აგრეთვე შეგიძლიათ ჩართოთ გაცხელების Flex გაერთიანებული ზონის შემთხვევაში.

11.2 PowerBoost გამორთვა


1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
 2. პარამეტრების ზონაში დააყენეთ სიმძლავრის სხვა დონე.
- ✓ ფუნქცია გამორთულია.

შენიშვნა: განსაზღვრული გარემოებებისას ფუნქცია ავტომატურად გამოირთობა პლატაში ელექტრონული კომპონენტების დასაცავად.

12 PanBoost

მოცემული ფუნქცია საშუალებას გაძლევთ უფრო სწრაფად გაათბოთ ტაფები, ვიდრე სიმძლავრის 9 დონეზე.




აღნიშნული ფუნქცია ყველა მომზადების ზონისთვის ხელმისაწვდომია, თუ ჩართული არ არის ამ ჯგუფის სხვა მომზადების ზონა.



12.1 გამოყენების რეკომენდაციები

- არ დაახუროთ ტაფას თავსახური.
- არასოდეს არ დატოვოთ ცარიელი ტაფები გასაცხელებლად ზედამხედველობის გარეშე.
- გამოიყენეთ მხოლოდ ცივი ტაფები.
- გამოიყენეთ მხოლოდ თანაბარ ძირიანი ტაფები. არ გამოიყენოთ თხელი ძირის მქონე ტაფები.

12.2 PanBoost ჩართვა

1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
 2. Boost აირჩიეთ პარამეტრების ზონაში და გეჭიროთ თითოთ, სანამ არ აინთება  და .
 3. თითის აულებლად აირჩიეთ .
 4. აწიეთ თითი.
- ✓ ფუნქცია ჩართულია.

შენიშვნა: მოცემული ფუნქცია აგრეთვე შეგიძლიათ ჩართოთ გაცხელების Flex გაერთიანებული ზონის შემთხვევაში.

12.3 PanBoost გამორთვა


1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
 2. პარამეტრების ზონაში დააყენეთ სიმძლავრის სხვა დონე.
- ✓ ფუნქცია გამორთულია.

შენიშვნა: 30 წამის შემდეგ ფუნქცია ავტომატურად გამოირთვება, მაღალ ტემპერატურამდე გაცხელების თავიდან აცილების მიზნით.

13 თბილად შენახვის ფუნქცია

ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამოიყენოთ, როდესაც საჭიროა შოკოლადის ან კარაქის გადნობა, აგრეთვე საკვების ცხელ მდგომარეობაში შენახვა.

13.1 თბილად შენახვის ფუნქცია ჩართვა

1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
2. შეეხეთ  პარამეტრების ზონაში.

- ☑ ანათებს.
- ✓ ფუნქცია ჩართულია.

13.2 თბილად შენახვის ფუნქცია გამორთვა

1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
 2. დააყენეთ „0“-ზე.
გათბობის ზონა და ☑ გამოირთობა.
- ✓ ფუნქცია გამორთულია.


14 პარამეტრების დადასტურება

ამ ფუნქციის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ერთი გათბობის ზონიდან მეორეზე გადაიტანოთ სიმძლავრის დონე, დაყენებული მომზადების დრო და მომზადების არჩეული ფუნქცია.

14.1 პარამეტრების დადასტურება

მოთხოვნა: გადაიტანეთ ჭურჭელი ჩაურთველ გაცხელების ზონაზე, რომელიც წინასწარ არ დაგიყენებიათ პარამეტრები ან რომელზეც მანამდე ჭურჭელი არ იდგა.

1. გადადგით ჭურჭელი.



ჭურჭელი ამოცნობილი იქნება. რამოდენიმე წამში ეკრანზე გამოვა ოპცია წინასწარი პარამეტრების დასადასტურებლად ახალი გათბობის ზონისთვის.

2. დაადასტურეთ პარამეტრები.
- ✓ პარამეტრები გადატანილია გაცხელების ახალ ზონაზე.

15 Assist

მზადებისას დამხმარე გარანტირებს მარტივ მომზადებას და საუკეთესო შედეგებს. თუ აირჩიეთ საჭირო ტემპერატურა, სენსორები მუდმივად გაზომავენ ჭურჭლის ტემპერატურას და შეინარჩუნებენ მას მზადების პროცესში.

უპირატესობები

- არჩეული ტემპერატურის მიღწევის შემდეგ ის ავტომატურად ნარჩუნდება, რაც ზოგავს ენერჯიას.
- მცენარეული ზეთი არ ცხელდება და კერძი ზედმეტად არ იხარშება.

15.1 PerfectFry Sensor

უხდება სოუსების მომზადებას ან ამოდულებას, ბლინების მომზადებას ან კვერცხის კარაქში შეწვას, ბოსტნეულის ან სტეიკების შეწვას მომზადების საჭირო დონემდე ტემპერატურის კონტროლის მეშვეობით.

მოცემული ფუნქცია ხელმისაწვდომია გაცხელების ყველა ზონაზე, რომლებიც აღნიშნულია სიმბოლოთი

ტემპერატურის დონეები

ტემპერატურული რეჟიმები კერძების მოსამზადებლად.

დონე	ტემპერატურა	ფუნქციები	სამზარეულოს ჭურჭელი
1	120 °C	სოუსების მომზადება და ამოდულება, ბოსტნეულის შეწვა	

დონე	ტემპერატურა	ფუნქციები	სამზარეულოს ჭურჭელი
2	140 °C	ზეთისხილის ზეთში ან კარაქში შეწვა	
3	160 °C	თევზის და მყარი პროდუქტების შეწვა	
4	180 °C	ფრიტიურში საფანელიანი, გაყინული და გრილზე მომზადებული პროდუქტის შეწვა	
5	215 °C	მაღალტემპერატურული გრილი და ტაფა გრილი	

რეკომენდირებული ჭურჭელი

ამ ფუნქციასთან ერთად გამოსაყენებლად შემუშავებულია სპეციალური ჭურჭელი, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიაღწიოთ მომზადების ოპტიმალურ შედეგს.

სამზარეულოს ჭურჭელი	გაცხელების რეკომენდირებული ზონა
ტაფა Ø 15 სმ	მარტივი კონფორის ზონა
ტაფა Ø 19 სმ	მარტივი კონფორის ზონა
ტაფა Ø 21 სმ	მარტივი კონფორის ზონა

სამზარეულოს ჭურჭელი	გაცხელების რეკომენდირებული ზონა
ტეპანიაკი	Flex-Zone
გრილი	Flex-Zone

რეკომენდირებული სამზარეულო ჭურჭელი შეგიძლიათ შეიძინოთ მომსახურების ცენტრში, სპეციალიზირებულ მაღაზიებში ან ჩვენს ინტერნეტ მაღაზიაში www.bosch-home.com.

შენიშვნა: თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ჭურჭელი. თუმცა ჭურჭლის მასალაზე დამოკიდებულად მიღწეული ტემპერატურა შესაძლოა განსხვავდებოდეს არჩეული ტემპერატურული რეჟიმისგან.

PerfectFry Sensor ჩართვა

- განათავსეთ ცარიელი ჭურჭელი გათბობის ზონაზე.
- აირჩიეთ გათბობის ზონა.
- შეეხეთ menu და აირჩიეთ PerfectFry Sensor.
- აირჩიეთ საჭირო ტემპერატურული რეჟიმი და შეეხეთ მთავარ ფანჯარაში დასაბრუნებლად.
 - ✓ ფუნქცია ჩართულია. აინთება ტემპერატურული რეჟიმი და .
 - ✓ ტემპერატურის საკონტროლო ინდიკატორი ანთია კაშკაშა წითლად, სანამ არ იქნება მიღწეული საჭირო ტემპერატურა. შემდეგ გაისმება ხმოვანი სიგნალი.
- დაამატეთ ტაფას ზეთი და შემდეგ განათავსეთ მოსამზადებელი პროდუქტი.

PerfectFry Sensor გამორთვა

- აირჩიეთ გაცხელების ზონა.
- დააყენეთ „0“-ზე.
- ფუნქცია გამორთულია.
- ფუნქციის გამოსართავად PerfectFry Sensor, შეეხეთ menu გადაერთეთ მომზადების სხვა რეჟიმზე.

რეკომენდაციები PerfectFry Sensorმეშვეობით მომზადებისთვის

ცხრილში მითითებულია კერძების ასორტიმენტი, გათბობის შესაბამისი დონეებით ზ. მითითებული მომზადების დრო min შეიძლება ვარირებდეს პროდუქტის რაოდენობაზე, მდგომარეობაზე და ხარისხზე დამოკიდებულად.

- ტაფა
- ტეპანიაკი
- ტაფა-გრილი

	სამზარეულოს ჭურჭელი	ღ	min
ხორცი			
შნიცელი		4	6-10
შნიცელი, საფანელში		4	6-10
ფილე		4	6-10
კოტლეტები		3	10-15
კორდონ ბლუ, ვენური შნიცელი		4	10-15
სტეიკი უმი, 3 სმ სისქის		5	6-8

	სამზარეულოს ჭურჭელი	ღ	min
სტეიკი საშუალო, 3 სმ სისქის		5	8-12
სტეიკი, მაქსიმალურად შემწვარი, 3 სმ სისქის		4	8-12
ტიბონ სტეიკი, ოდნავ შემწვარი, 4,5 სმ სისქის		5	10-15
ტიბონ სტეიკი, საშუალოდ შემწვარი, 4,5 სმ სისქის		5	20-30
ფრინველის მკერდი, 2 სმ სისქის		3	10-20
ბეკონი		2	5-8
დაკეპილი ხორცი		4	6-10
ჰამბურგერი, 1,5 სმ სისქის		3	6-15
ხორცის ფრიკადელები, 2 სმ სისქის		3	10-20
სოსისი		3	8-20
ძხვზი ჩორიზო, ნახევარფაბრიკატი		3	10-20
მწვადი, ქებაბი		3	10-20
გიროსი		4	7-12
თევზი და ზღვის პროდუქტები			
თევზის ფილე		4	10-20
თევზის ფილე საფანელში		4	10-20
თევზი, შემწვარი, მთლიანი		3	10-20
სარდინი		4	6-12
სკამპი, კრევეტები		4	4-8
კალმარი, მელანთევზი		4	6-12
კვერცხის კერძები			
შანთრაქი, კარაქში		2	2-6
ერბო კვერცხი		4	2-6
ერბოკვერცხი-შანთრაქი		2	4-9
ომლეტი		2	3-6
ფრანგული ტოსტი		3	4-8
ფრანგული ბლინჩიკები, ბლინები, პანქეიქები, ტაკოს		5	1-3
ბოსტნეული			
შემწვარი კარტოფილი		5	6-12
კარტოფილი ფრი		4	15-25
კარტოფილის ჩანთა		5	2-4
ხახვი, შემწვარი ნიორი		2	2-10
ხახვის რგოლები		3	5-10
ყაბაყი, ბადრიჯანი, ტკბილი წიწაკა		2	4-12
მწვანე სატაცური		3	4-15
სოკო		4	10-15
ბოსტნეული, ჩაშუშული მცენარეულ ზეთში		1	10-20
ბოსტნეული ტემპურას ცომში		4	5-10

	სამზარეულოს ჭურჭელი	⌚	⊖ min
გაყინული პროდუქტები			
ქათმის ნაგეთსი		4	10-15
თევზის ჩხირები		4	8-12
კარტოფილი ფრი		5	4-8
შესაწვავი კერძები		3	6-10
შემოდგომის როლები		4	10-30
ღვეზელი, კროკეტები		5	3-8
სოუსები			
ტომატის სოუსი		1	25-35
ბეშამელსოუსი		1	10-20
ყველის სოუსი		1	10-20
ტკბილი სოუსები		1	15-25
სოუსები, ამოდულებული		1	25-35
სხვა			
შემწვარი ყველი		3	7-10
კრუტონები		3	6-10
შემწვარი პური		4	4-8
მშრალი მზა კერძები		1	5-10
ნუში, ნიგოზი, კედრის წიწიპო, მოხალული		4	3-15
ადიბუდი		5	3-4

15.2 PerfectCook Sensor

აღნიშნული ფუნქციის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ საკვები პროდუქტების გათბობა, მოთუშვა, ადუღება, მზადყოფნამდე მიყვანა, სწრაფი მომზადების ჭურჭელში მომზადება ან კონტროლირებადი ტემპერატურის პირობებში ფრიტიურში ბლომად ზეთში შეწვა. ამ ფუნქციის გამოსაყენებლად საჭიროა ხარშვის უსადენო სენსორი. ეს ფუნქცია ხელმისაწვდომია გაცხელების ყველა ზონაზე ხარშვის უსადენო სენსორით ჩვეულებრივ ჭურჭელზე.

ტემპერატურის დონეები

ტემპერატურული რეჟიმები კერძების მოსამზადებლად.

დონე	ტემპერატურა	ფუნქციები	სამზარეულოს ჭურჭელი
1	70 °C	გაცხელება და ცხლად შენახვა	
2	90 °C	მომზადება	
3	100 °C	წამოდუღება	
4	120 °C	სწრაფი მომზადების ქვაბში მოხარშვა	

დონე	ტემპერატურა	ფუნქციები	სამზარეულოს ჭურჭელი
5	180 °C	ფრიტირება	

PerfectCook Sensor ფუნქციის მითითებები

- ხარშვის უკაბელო სენსორი ზომავს სითხის ტემპერატურას სილიკონის დონის მეშვეობით, რომელიც ჭურჭელზეა განთავსებული. სწორი გაზომვისთვის სილიკონის სადები სრულიად დაფარული უნდა იყოს გასაზომი სითხით.
- მომზადების დაწყებამდე ხარშვის უკაბელო სენსორის ჩარჩო და სამზარეულო ჭურჭელზე განთავსებული სილიკონის სადები სრულიად მშრალი უნდა იყოს.
- არ მოხსნათ ხარშვის უკაბელო სენსორი მომზადების პროცესში. მომზადების შემდეგ ფრთხილად მოაშორეთ სენსორი, ვინაიდან შესაძლოა ცხელი იყოს.
- ენერჯის დაზოგვისთვის გამოიყენეთ თავსახური.
- ჭურჭელი ისე დადგით, რომ ხარშის უკაბელო სენსორი მიმართული იყოს კონფორის გვერდითა გარეთა მხარეს.
- არავითარ შემთხვევაში არ მიმართოთ ხარშვის უკაბელო სენსორი სხვა ცხელი ჭურჭლისკენ, რათა თავიდან აიცილოთ გადახურება.

PerfectCook Sensor -ის ჩართვა

მოთხოვნა: ჩართეთ ხარშვის უსადენო სენსორი.

1. დააყენეთ ხარშვის უსადენო სენსორი ჭურჭელზე.
 2. დადგით ქვაბი საკმარისი ოდენობის სითხით გაცხელების საჭირო ზონაზე და დააფარეთ ქვაბს თავსახური.
 3. აირჩიეთ გაცხელების ზონა, რომელზეც განთავსებულია ჭურჭელი ხარშვის უსადენო სენსორით.
 4. შეეხეთ menu-ის და აირჩიეთ PerfectCook Sensor.
 5. შემდეგ შეეხეთ ხარშვის უსადენო სენსორის შუა ნაწილს.
 6. აირჩიეთ შესაბამისი ტემპერატურის რეჟიმი კერძისთვის, რომლის მომზადებაც გსურთ.
- ✓ ფუნქცია ჩართულია.
 - ✓ აინთება ტემპერატურული რეჟიმი და . ტემპერატურის ინდიკატორი თანდათან აინთება წითლად უფრო კაშკაშად, სანამ წყალი ან ზეთი არ მიაღწევს საკვების დასამატებლად შესაფერის ტემპერატურას. გაისმება სიგნალი.
 - 7. მოხსენით თავსახური სიგნალის შემდეგ და დაამატეთ პროდუქტები. მოამზადეთ თავსახურის ქვეშ.

PerfectCook Sensor-ის გამორთვა

1. აირჩიეთ გაცხელების ზონა.
 2. დააყენეთ «0»-ზე.
- ✓ ფუნქცია გამორთულია.
3. PerfectCook Sensor-იდან გამოსასვლელად, შეეხეთ menu და გადაერთეთ მომზადების სხვა რეჟიმზე.

რეკომენდაციები PerfectCook Sensorმქვეობით მომზადებისთვის

შემდეგი ცხრილი შეიცავს ოპტიმალურ ტემპერატურულ რეჟიმებს სხვადასხვა კერძებისთვის. ™ °C და ⊖ min დამოკიდებულია პროდუქტის რაოდენობაზე, მდგომარეობაზე და ხარისხზე.

გაცხელება და ცხლად შენახვა

	™ °C	⊖ min
გულიაშის გაცხელება	70	10-20
გლინტვეინის გაცხელება	70	5-15

- მზადყოფნამდე მიყვანა ნელ ცეცხლზე

	™ °C	⊖ min
--	------	-------

ხორცი

სოსისი	90	10-20
--------	----	-------

თევზი

მოთუშული თევზი	90	15-20
----------------	----	-------

კვერცხის კერძები

კვერცხი პაშოტი	90	2-5
----------------	----	-----

კარტოფილი

კარტოფილის კლოსი	90	30-40
------------------	----	-------

მაკარონი და მარცვლეული

ბრინჯი	90	25-35
--------	----	-------

ორთქლზე მოხარშული ბრინჯი	90	25-35
--------------------------	----	-------

ყავისფერი ბრინჯი	90	45-55
------------------	----	-------

ბრინჯი, ბასმატი, ტაილანდური	90	8-12
-----------------------------	----	------

ველური ბრინჯი	90	20-30
---------------	----	-------

პოლენტა	90	3-8
---------	----	-----

მანანის ფაფა	90	5-10
--------------	----	------

წვნიანები

სწრაფი მომზადების სუპ-პიურე	90	10-15
-----------------------------	----	-------

დესერტი

რძიანი ბრინჯი	90	40-50
---------------	----	-------

შვრიის ფაფა	90	10-15
-------------	----	-------

შოკოლადის პუდინგი	90	3-5
-------------------	----	-----

სხვა

რძე	90	3-10
-----	----	------

- მოხარშვა

	™ °C	⊖ min
--	------	-------

ხორცი

ხორცის ბურთულები	100	20-30
------------------	-----	-------

ქათამი	100	60-90
--------	-----	-------

ხბო	100	60-90
-----	-----	-------

კვერცხის კერძები

მოხარშული კვერცხები	100	5-10
---------------------	-----	------

ბოსტნეული და პარკოსნები

ბროკოლი	100	10-20
---------	-----	-------

ყვავილოვანი კომბოსტო	100	10-20
----------------------	-----	-------

	™ °C	⊖ min
ბრიუსელის კომბოსტო	100	30-40
მწვანე ლობიო	100	15-30
მუხუნდო	100	60-90
ბარდა	100	15-20
ოსპი	100	45-60

კარტოფილი

ნიოკი	100	3-6
-------	-----	-----

მოხარშული კარტოფილი	100	30-45
---------------------	-----	-------

ბატატი	100	30-45
--------	-----	-------

მაკარონი და მარცვლეული

მაკარონი მყარი ხორბლისგან	100	7-10
---------------------------	-----	------

ცომის ნახევარფაბრიკატები	100	3-5
--------------------------	-----	-----

მთელ მარცვლოვანი მაკარონი	100	7-10
---------------------------	-----	------

მაკარონი მყარი ხორბლისგან, შიგთავსით	100	15-20
--------------------------------------	-----	-------

სახლის მაკარონი, შიგთავსით	100	5-8
----------------------------	-----	-----

ქინოა	100	10-12
-------	-----	-------

წვნიანები

სახლში გაკეთებული ბულიონი	100	60-90
---------------------------	-----	-------

სწრაფი მომზადების წვნიანები	100	5-10
-----------------------------	-----	------

დესერტი

მოთუშული	100	15-25
----------	-----	-------

გაყინული პროდუქტები

მწვანე ლობიო	100	15-30
--------------	-----	-------

სწრაფი მომზადების ქვაბში მოხარშვა

	™ °C	⊖ min
--	------	-------

ხორცი

ქათამი	120	15-25
--------	-----	-------

ხბო	120	15-25
-----	-----	-------

ბოსტნეული და პარკოსნები

ბოსტნეული	120	3-6
-----------	-----	-----

მუხუნდო	120	25-35
---------	-----	-------

ოსპი	120	10-20
------	-----	-------

ლობიო	120	25-35
-------	-----	-------

კარტოფილი

კარტოფილი	120	10-20
-----------	-----	-------

ბატატი	120	10-20
--------	-----	-------

მაკარონი და მარცვლეული

ბრინჯი	120	6-8
--------	-----	-----

ყავისფერი ბრინჯი	120	12-18
------------------	-----	-------

წვნიანები

სახლის ბულიონი	120	20-30
----------------	-----	-------

ბევრი ზეთით ფრიტირება

მცენარეული ზეთის გაცხელებისას გამოიყენეთ თავსახური და მოხსენით კარძის შეწვისას.

	™ °C	⊖ min
--	------	-------

ხორცი

	⊕ °C	⊖ min
ქათმის ნაწილები	180	10-15
ხორცის ბურთულები	180	10-15
თევზი		
თევზი ცხიმთან ცომში, საფანელში	180	10-15
ბოსტნეული და პარკოსნები		
ბოსტნეული ცხიმთან ცომში, საფანელში	180	4-8
შამპინიონი, საფანელში ან ცხიმთან ცომში	180	4-8
დესერტი		
პიშკები, ფუნჯულები და დონატები	180	5-10
გაყინული პროდუქტები		
კარტოფილი ფრი	180	4-8

15.3 უსადენო კონფორი

გამოყენებისთვის PerfectCook Sensor უნდა შეიძინოთ ხარშვის უსადენო სენსორი. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ხარშვის უსადენო სენსორი მომსახურების ცენტრის მეშვეობით, ჩვენს ინტერნეტ მაღაზიაში ან სპეციალურ მაღაზიაში www.bosch-home.com.

ხარშვის უკაბელო სენსორის ჩართვა

უსადენო მომზადების სენსორის მართვის ველთან დასაკავშირებლად საჭიროა შემდეგი:

1. ძირითადი პარამეტრების მენიუს გახსნა → გვერდი 23
2. აირჩიეთ პარამეტრი «ხარშვის სენსორი» და აირჩიეთ ოპცია «ხარშვის ახალი სენსორის დამატება».
3. 30 წამის განმავლობაში ერთჯერადად შეეხეთ ხარშვის უსადენო სენსორის შუა ნაწილს.
 - რამდენიმე წამის შემდეგ დისპლეიზე გამოჩნდება ანგარიში ხარშვის სენსორის მართვის პანელთან შეერთების შედეგის შესახებ.

შედეგი	
⊖ კავშირი დამყარებულია	ხელმისაწვდომია PerfectCook Sensor.
